კანონთა და მთავრობის განკარგულებათა

კრებული

იუსტიციის სამინისტროს საქოდიფიკაციო განყოფილების გამოცემა.

1919 წ. თებერვლის 15 № 3 პირველი ნაწილი

6129

შინაარსი:

კან. 16. ადმინისტრაციისა და მილიციის ადგილობრივ თვითმმართველობათა ხელში გადაცემისა.

17. მიწათ მოქმედების სამინისტროს შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.

18. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ განსაკუთრებულ რაზმის მოქმედების განკრძობისა—სპეკულიაციის, კონტრ-რევოლიუციისა და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

19. საგუბერნიო ადმინისტრატიულ დაწესებულებათა გაუქმებისა და ადმინისტრაციის ინსპექტორის თანამდებობის დაარსებისა.

20. ათ მილიონიან ფონდიდან დახარჯული 9.391.261 მ. 31 კ. აღდგენისა.

21. 1912 წლის ივნისის 9-სა და 1914 წლის ივნისის 28-ს კანონთა გაუქმებისა

საქ. მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

16. კანონი

ადმინისტრაციისა და მილიციის ადგილობრივ თვითმმართველობათა ხელში გადაცემისა.

1. 1918 წლის აგვისტოს 2 კანონით დაწესებული სამაზრო და სოფლის საზოგადოებათა ადმინისტრაცია და მილიცია გადაეცეს სამაზრო საერობო გამგეობას.

2. ამათ შესანახად სახელმწიფო ხაზინიდან უნდა გაღებულ იქნეს მთელი ხარჯის 50% ქალაქებში, ხოლო 75% მაზრებში.

3. შინაგან საქმეთა მინისტრი, როგორც უმაღლესი ხელმძღვანელი, თვალყურს ადევნებს საქალაქო და სამაზრო ადმინისტრაციისა და მილიციის მოქმედებას, რისთვისაც საჭიროებისამებრ დანიშნავს ადგილობრივი ადმინისტრაციის რევიზიას და გამოსცემს სათანადო დადგენილებებს და ინსტრუქციებს. მინისტრის განკარგულება, გამოცემული მილიციისა და ადმინისტრაციის მიმართ, აუცილებლად შესრულებულ უნდა იქნეს.

4. საქალაქო მილიციის უფროსები და სამაზრო კომისრები და მათი თანაშემწენი არჩეულ უნდა იქნენ საქალაქო და სამაზრო გამგეობათა მიერ. შინაგან საქმეთა მინისტრს შეუძლიან გადააყენოს თანამდებობიდან როგორც საქალაქო მილიციის უფროსი, ისე სამაზრო კომისარი და მისი თანაშემწენი. საბოლოო დათხოვნის შესახებ კი მინისტრი წინადადებას აძლევს ადგილობრივ თვითმმართველობის გამგეობას. თუ ამ საკითხში უთანხმოება მოხდა და შინაგან საქმეთა მინისტრმა არ შეიწყნარა გამგეობის აზრი, უკანასკნელს შეუძლიან საკითხის საბოლოო გადაწყვეტა სათანადო სასამართლოს გადასცეს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ამ წესით სამსახურიდან გადაყენებულ პირისათვის ჯამაგირის მიცემა სავალდებულო არ არის.

5. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით თანამდებობიდან გადაყენებული მილიციის უფროსი, სამაზრო კომისარი და მათი თანაშემწენი მინისტრის ნებადაურთველად არ შეიძლება არჩეულ იქნენ რაიმე ადმინისტრატიულ თანამდებობაზედ.

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

17. კანონი

მიწათ-მოქმედების სამინისტროს შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.

1. დამტკიცებულ და 1918 წლის ივლისის პირველიდან შემოღებულ იქნეს ამ კანონთან დართული მიწათ-მოქმედების სამინისტროს შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

2. გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისათვის ერთი მილიონი რვაას ორმოცდაორი ათას ცხრაას ოცდარვა (1.842.928) მანეთი და 80 კაპ. შემდეგის განაწილებით: სასოფლო-სამეურნეო განათლების განყოფილებისათვის—იერასი ათას ოთხას ორმოცდახუთი მანეთი; საცდელ დაწესებულებათა განყოფილებისათვის —ერთი მილიონი და თვრამეტი ათას სამას ოთხმოცდაექვსი მან. 30 კაპ., აგრონომიულ პერსონალის განყოფილებისათვის —ას ოთხმოცდაათი ათას სამას ოცდაჩვიდმეტი მან. 50 კაპ., საჩვენებელ დაწესებულებათა და მეურნეობის სხვა-და-სხვა დამხმარე ღონისძიებათა განყოფილებისათვის—ორას ოცდაშვიდი ათას ოთხას ორმოცდაცხრა მან., საქონლის მოვლა-მოშენებისა, მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის განყოფილებისათვის—ორმოცდათორმეტი ათას ხუთას ოცდათერთმეტი მან., საზოგადო ღონისძიებათა განყოფილებისათვის—ოცდარვა ათას შვიდას ოთხმოცი მან., მოულოდნელი ხარჯებისათვის—ოცდახუთი ათასი მან. და სოჭის საცდელ სადგურისათვის—ასი ათასი მან.

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

შ ტ ა ტ ი

და ხარჯთ-აღრიცხვა მიწათ-მოქმედების სამინისტროსი.

№№ რიგზე.		1918 წლისთვის			შტატების გათანასწორებით გამოწვეული დამატ.		სულ
		დაუმატებლად.	დამატება 3 მარტის კანონით.	სულ	თვეში	1 ივლისიდან წლის ბოლომდე	
I.	განყოფილება (სასოფლო-სამეურნეო განათლებისა)	100445 —	100000 —	200445 —	—	— —	200445 —
II.	განყოფილება (საცდელ დაწესებულებათა)	407814 —	471789 —	879603 —	23130 55	138783 30	1.018386 30
III.	განყოფილება (აგრონომიული პერსონალისა)	77480 —	99015 50	176495 50	2307 —	13842 —	190.357 50
IV.	განყოფილება (სამეურნეო დახმარება და ახალშენებისათვის)	—	— —	— —	— —	— —	— —
V.	განყოფილება (საჩვენებელი დაწესებულებანი და მეურნეობის სხვა-დასხვა დამხმარე ღონისძიებათა)	84369	136630 —	220999 —	1075 —	6450 —	227449 —
VI.	განყოფილება (საქონლის მოვლა-მოშენებისა მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისათვის)	22595 —	25850 —	48445 —	681 —	4086 —	52531 —
VII.	განყოფილებანი ზოგადო ღონისძიებათა	138 0 —	14960 —	28780 —	— —	— —	28780 —
	მოულოდნელი ხარჯები	10000 —	15000	25000 —	— —	— —	25000 —
	სულ	716523 —	863244 50	1.579767 50	27.193 55	163161 30	1.742928 80
	სოფის საცდელი სადაური	— —	— —	— —	— —	— —	100000 —
	სულ	716.523 —	863.244 50	1.579767 50	27.193 55	163.161 30	1.842928 80

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

18. კ ა ნ ო ნ ი

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ განსაკუთრებულ რაზმის მოქმედების განგრძობისა—სპეკულიაციის, კონტრ-რევოლიუციისა და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1. განგრძობილ იქნეს მოქმედება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ განსაკუთრებულ რაზმისა—სპეკულიაციისა, კონტრ-რევოლიუციისა და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად ამა 1919 წლის ივლისის პირველამდე.

2. დამტკიცებულ და ამა 1919 წლის იანვრის პირველიდან ივლისის პირველამდე შემოღებულ იქნეს ამ კანონთან დართული ხარჯთ-აღრიცხვა და შტატი პირველ მუხლში აღნიშნულ რაზმისა.

3. გადაიდოს სახელმწიფოს ხაზინიდან ამ კანონის მეორე მუხლში აღნიშნულ შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისათვის ოთხას ოცდათოთხმეტი ათას ცხრაასი მანეთი (434.900 მან.).

4. ეს კანონი შედის ძალაში ამა 1919 წლის იანვრის პირველიდან.

1919 წ. იანვრის 28.

ქვემოთ ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ე. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა დ ა შ ტ ა ტ ი

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ განსაკუთრებულ რაზმისა სპეკულიაციის, კონტრ-რევოლიუციისა და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

თ ა ნ ა მ დ ე ბ ო ბ ა	თანამდებობის პირთა რიცხვი	თვიური ჯამაგირი ერთი თვითეულის	ექვსი თვის ჯამაგირი		ს უ ლ
			თვითეულს	ყველას	
რაზმის უფროსი	1	1000	6000	6000	6000
მისი თანაშემწე	2	833-33	5000	10000	10000
უფროსი თანამშრომელი . .	20	666-66	4000	80000	80000
უმცროსი თანამშრომელი . .	40	600	3600	144000	144000
კანცელარია.					
მმართველი	1	650	3900	3900	3900
საქმისმწარმოებელი . . .	1	500	3000	3000	3000
რეგისტრატორი	1	500	3000	3000	3000

მანქანით გადამწერი	1	400	2400	2400	2400
შიკრიკი	1	450	2700	2700	2700
დარაჯი	2	400	2400	4800	4800
გზირი	1	400	2400	2400	2400
საწყობის გამგე	1	600	3600	3600	3600
შოფერი	2	450	2700	5400	5400
ჯამი . .	74	—	—	271200	271200
მგზავრობისათვის.					
რაზმის უფროსს . . .	1	—	900	900	900
მის თანაშემწეს	2	—	900	1800	1800
თანამშრომელს	60	—	600	36000	36000
სააგენტურო ხარჯი	—	—	—	—	70000
დაფარულ ხარჯების	—	—	—	—	30000
საკანც. სამ. ხარჯი (სახლის ქირა და სხ.) . . .	—	—	—	—	25000
სულ	—	—	—	—	434900

1919 წ. იანვრის 28.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

---

19. კანონი

საგუბერნიო ადმინისტრატიულ დაწესებულებათა გაუქმებისა და ადმინისტრაციის ინსპექტორის თანამდებობის დაარსებისა.

1. გაუქმებულ იქნეს რესპუბლიკის გუბერნიებად დაყოფა და საგუბერნიო ადმინისტრატიული დაწესებულებანი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეს მუხლი არ ვრცელდება სოხუმისა და სოჭის ოლქებზე.

2. შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალოს მოახდინოს აღნიშნულ დაწესებულებათა ლიკვიდაცია და საქმეების სათანადო დაწესებულებათა შორის განაწილება.

3. ტფილისის და ქუთაისის საგუბერნიო მფრინავი რაზმები გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

4. დაარსდეს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთი ადმინიტრატიული ინსპექტორის თანამდებობა და ორი მისი თანაშემწისა.

5. დამტკიცდეს ამასთანავე დართული შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიულ ნაწილის ინსპექციის შტატი.

6. შინაგან საქმეთა სამინისტროს გაეხსნას კრედიტი ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექციის მესანახად ას ორმოცდაათი ათასი მან. (150.000 მან.).

7. ინსპექტორისა და მის თანაშემწეთა ხელისუფლებას შეადგენს:

ა) ყველა უფლება და მოვალეობა, რომელიც მინიჭებული აქვს ამიერკავკასიის საერობო დაწესებულებათა დებულებით და დროებითი

მთავრობის საქალაქო დებულებით საგუბერნიო და სამაზრო კომისრებს თვითმმართველობათა მიმართ, გარდა ქალაქ ტფილისის თვითმმართველობისა, რომელიც ამ საგნებში პირდაპირ ექვემდებარება შინაგან საქმეთა მინისტრს;

ბ) თვალ-ყურის დევნება ყველა ადმინისტრატიულ დაწესებულებათა და ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა და მათი რევიზიის მოხდენა როგორც პირადად, ისე თავის აგენტების საშუალებით;

გ) თვალ-ყურის დევნება კანონთა, ბრძანებათა და განკარგულებათა ადგილობრივ გამოცხადებისა და მათი ცხოვრებაში გატარების თუ შესრულებისა;

დ) ადმინისტრაციის ინსპექტორს ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის გამგებლობა.

1919 წ. იანვრის 30.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი **ე. თაყაიშვილი.**

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

შტატი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექციისა.

№№ რიგზე.	თანამდებობათა სახელწოდება.	თანამდებობათა რიცხვი.	წლიური ჯამაგირი ერთს.	წლიური ჯამაგირი ყველას.	შენიშვნა
1	შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორი	1	18000	18000	
2	ინსპექტორის თანაშემწე.	2	15000	30000	
3	განსაკუთრებულ მინდობილობათა მოხელე. .	2	12000	24000	
4	საქმისმწარმოებელი . .	2	7200	14400	
5	კანცელარიის მოხელე. .	2	4800	9600	
6	მანქანით გადამწერი . .	1	4800	4800	
7	შიკრიკი.	1	4200	4200	
8	საკანცელარიო ხარჯები.	—	—	15000	
9	სამგზავრო ხარჯები	—	—	30000	
	სულ . . .	11	—	150000	

1919 წ. იანვრის 30.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

5233
1919

20. კანონი

ათ მილიონიან ფონდიდან დახარჯული 9.391.261 მ. 31 კ. აღდგენისა.

1. ათი მილიონის ფონდიდან, რომელიც გადადებული იყო 1918 წლის დეკემბრის 17-ს მთავრობის განკარგულებაში, ცხრა მილიონი სამას ოთხმოცდათერთმეტი ათასი ორას სამოცდაერთი მანეთისა და 31 კაპ. განაწილება კრედიტად უწყებათა შორის მთავრობის მიერ 1918 წლის ნოემბრის 23-დან დეკემბრის 24-მდე — დამტკიცებულ იქნეს.

2. აღდგენილ იქნეს ხაზინის თავისუფალ თანხიდან ათი მილიონის ფონდი უკვე განაწილებულ ზემოხსენებული თანხის ცხრა მილიონი სამას ოთხმოცდათერთმეტი ათას ორას სამოცდაერთი მანეთის და 31 კაპ. (9.391.261 მან. 31 კაპ.) გადადებით.

3. ეს კანონი ძალაში შედის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღების დღიდან.

1919 წ. იანვრის 30.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

---

21. კანონი

1912 წლის ივნისის 9-სა და 1914 წლის ივნისის 28-ს კანონთა გაუქმებისა.

1. გაუქმებულ იქნეს 1912 წლის ივნისის 9-სა და 1914 წლის ივნისის 28-ს კანონები ხაზინისა და საბაჟოს მოხელეთათვის სადღესასწაულო საჩუქრების გაღებისა.

2. ეს კანონი ძალაში შედის 1918 წლის დეკემბრის პირველიდან.

1919 წ. იანვრის 30.

დედანს ხელს აწერენ:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.